თხრობითი ტექსტის გაგება-გააზრება

დაკვირვებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე შეკითხვებს.

როგორ იძია შური მელიამ მგელზე

ერთხელ ჯუნგლების მბრძანებელმა ლომმა მხეცები იხმო. დიდმა თუ პატარამ დანიშნულ დროზე ადრე მოიყარა თავი, მხოლოდ მელა არ ჩანდა. გზაზე კურდღელი დაეჭირა და იმას შეექცეოდა.

ლომი მგელს, თავის მოადგილეს, გვერდით მიუჯდა და ლაპარაკის დაწყებას აპირებდა. სწორედ ამ დროს გზაზე მელია გამოჩნდა. მგელს არასდროს მოსწონდა მელია. შურდა კიდეც, ასეთი ეშმაკი და მოხერხებული რომ იყო. იფიქრა, ახლა კარგი საბაბი მაქვს, რომ მეტიჩარა მელია თავიდან მოვიშოროო. გაუხარდა, რომ საშუალება მიეცა მისთვის რამე ევნო. როგორც კი მიუახლოვდა მელია მხეცების თავშეყრის ადგილს, მგელმა ლომს წასჩურჩულა:

— ერთი უყურე მაგ თავხედს! ყველაზე ადრე უნდა მოსულიყო და ყველასთვის თავ-თავისი ადგილი მიეჩინა, ეგ კი სხვებზე გვიან მობრძანდება!

ურჩობას არ იყო მიჩვეული მხეცების მეფე. აბა როგორ არ გაბრაზებულიყო მელიაზე, რომელმაც თავხედურად გაბედა დაგვიანება. ეტყობა, პატივს არ მცემს მელია, არც კი ეშინია ჩემიო, – გაიფიქრა. ლომი ძალიან განრისხდა და დაიღრიალა:

— მელავ, როგორ გაბედე დაგვიანება? ურჩობისთვის ახლავე დაგსჯი!

მელია მიხვდა, რომ მგელმა დააბეზღა. თუ სასწრაფოდ რამეს არ მოიფიქრებდა, განსაცდელი არ ასცდებოდა. თავში ეშმაკურმა გეგმამ გაუელვა. მე შენ გიჩვენებ სეირს, შე ბოროტო მგელოო. ფრთხილად მიუახლოვდა ლომს და მორიდებით შეჰკადრა:

— ჩემო მბრძანებელო, მზადა ვარ, რომ თქვენთვის მოვკვდე, მაგრამ ჯერ ერთი ამბავი მინდა მოგახსენოთ.

LIVEWORKSHEETS

— ჩქარა თქვი! — დაიღრიალა ლომმა.

— არ იფიქროთ, მბრძანებელო, თითქოს ჩემი მუცლის გულისთვის დამეგვიანოს. სრულებითაც არა! ამას როგორ გავბედავდი. მე მხოლოდ ამ დილას გავიგე, რომ ყბაზე რაღაც სიმსივნე გამოგსვლიათ და მკურნალთან გავიქეცი. გავიგებ, მორჩენა რითი შეიძლება-მეთქი. დაგვიანებითაც ამიტომ დამაგვიანდა.

ლომმა ყბაზე თათი მოისვა. მართლაც დასიებული ჰქონდა, ეტყობა, კოღომ უკბინა.

მელიამ განაგრძო:

— მიჭირს ამის თქმა. ჩვენი იმედი თქვენა ხართ. რა გვეშველება, რამე რომ დაგემართოთ! ხომ დავრჩით ობლად და უპატრონოდ! მკურნალმა მითხრა, სიმსივნე ძალიან საშიშიაო. თუ დროზე არ იწამლებთ, მთელი ტანი გაგისივდებათ და მაშინ...

— რას ამბობ! ამან უნდა მომკლას?! — შეშფოთდა ლომი. — თქვი ჩქარა, მკურნალმა რა გირჩია, როგორ მოიქცესო.

— ჰოდა, ამიტომაც დამაგვიანდა. მკურნალმა დიდხანს იფიქრა და ბოლოს თქვა, სიმსივნეზე მგლის გული დაიდოს და სწრაფად გაუვლისო.

ცბიერმა მელამ სული განაბა. მოუთმენლად ელოდა განაჩენს: აბა რას იზამს დიდებული ლომი, გაჭრის ჩემი ხერხი თუ არაო.

ლომს დიდხანს აღარ უფიქრია. საკუთარი თავი ყველაფერს ერჩია. ვის დაინდობდა, ვინ შეეცოდებოდა, როცა თავად საფრთხის ქვეშ იყო. ეცა მგელს, გაგლიჯა, ამოაცალა გული და ყბაზე დაიდო.

ამრიგად, ეშმაკმა მელიამ მგელზე შურიც იძია და თავიც დაიხსნა.

LIVEWORKSHEETS

წაიკითხე შეკითხვები. შეარჩიე სწორი პასუხი და შემოხაზე შესაბამისი ასო (ა, ბ ან გ).

1. **რატომ არ გამოცხადდა მელია ლომთან სხვებივით ადრე?**

   ა) ადრე მისვლა საჭიროდ არ ჩათვალა.
   ბ) ამით მგლის გაღიზიანება უნდოდა.
   გ) კურდღელი დაიჭირა და შეექცეოდა.

2. **რატომ არ მოსწონდა მგელს მელია?**

   ა) ეგონა, რომ ლომი მელიას მოადგილედ დაისვამდა.
   ბ) ეშინოდა, რომ მელია მგელს ლომთან დააბეზღებდა.
   გ) შურდა, რომ მელია მასზე ეშმაკი და მოხერხებული იყო.

3. **რა მიზნით შეაფასა მგელმა მელიის საქციელი თავხედობად?**

   ა) განრისხებულ ლომს მელია რომ დაესაჯა.
   ბ) ეშმაკ მელიას მგლის რომ შეშინებოდა.
   გ) მეტიჩარა მელიას ბოდიში რომ მოეხადა.

4. **რატომ გაბრაზდა ლომი?**

   ა) მგელმა დაბეზღება რომ გაბედა.
   ბ) მგლის ნათქვამი სიცრუედ ჩათვალა.
   გ) მელიის საქციელი უპატივცემულობად შეაფასა.

5. **მელიის რომელი ნათქვამიდან ჩანს მისი მლიქვნელური ბუნება?**

   ა) „მკურნალმა მითხრა, სიმსივნე ძალიან საშიშიაო“.
   ბ) „ჩემო მბრძანებელო, მზად ვარ, თქვენთვის მოვკვდე“.
   გ) „ჯერ ერთი რამ მინდა მოგახსენოთ“.

6. **რას ნიშნავს „მორიდებით შეჰკადრა“?**

   ა) დაბნეულად ჰკითხა.
   ბ) თამამად მოუყვა.
   გ) მოწიწებით უთხრა.

LIVEWORKSHEETS

7. „მე შენ გიჩვენებ სეირს, შე ბოროტო მგელო“, - გაიფიქრა მელიამ. რას ნიშნავს გამოთქმა „გიჩვენებ სეირს“?

ა) სანახაობით გაგამხიარულებ.
ბ) სასაცილოდ გაგიხდი საქმეს.
გ) შავ დღეს დაგაყრი.

8. მელამ ტყუილი თქვა, რათა:

ა) თავისი ხრიკები გამოეცადა.
ბ) ლომი როგორმე დაემშვიდებინა.
გ) მგლისთვის სამაგიერო გადაეხადა.

9. რამ დაარწმუნა ლომი მელიის ნათქვამში?

ა) არ ეგონა, თუ მოატყუებდნენ.
ბ) მელია დამაჯერებლად ლაპარაკობდა.
გ) ყბა ჰქონდა დასიებული.

10. რით ჰგვანან მგელი და მელია ერთმანეთს?

ა) ორივე გონიერი და სამართლიანია.
ბ) ორივე მშიშარა და მატყუარაა.
გ) ორივე ცბიერი და დაუნდობელია.

11. მგლის მისამართით ნათქვამი სიტყვები - „საკუთარი თავი ყველას ერჩია“ - ეკუთვნის:

ა) ზღაპრის მთხრობელს.
ბ) კმაყოფილ მელიას.
გ) შეშინებულ მგელს.

12. რომელი ანდაზა შეეფერება ზღაპრის მთავარ სათქმელს?

ა) არამკითხე მოამბეო, მიტყიპე და მიაგდეო.
ბ) არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითაო.
გ) სხვას ორმოს ნუ უთხრი, შენ თვითონ არ ჩავარდეო.

LIVEWORKSHEETS